ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №13

14 აგვისტო 2020 წელი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ***ადგენს:***

მუხლი 1.

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, ვებგვერდი, 24/01/2018 ს/კ 010260020.35.124.016282) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის (ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული-განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის (სამსახურის ფუნქციები) 1-ლი პუნქტის „უ“ და „ფ“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს;

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე